18 სექტემბერი, 2013 წ. თბილისი

ხელშეკრულება N 1
PRO 09/13/118

ერთის მხრივ, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია", საიდენტიფიკაციო კოდი: 204568208, ადგილმდებარეობით თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №34, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძეს სახით, შემდგომში "დამკვეთი",

მეორეს მხრივ, შპს "ეისითი", საიდენტიფიკაციო კოდი: 204441684, ადგილმდებარეობით თბილისი, ამაღლების ქ. №7, წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, თინათინ რუხაძის სახით, შემდგომში "შემსრულებელი", გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

„დამკვეთი" ავალებს, ხოლო „შემსრულებელი" ვალდებულებას იღებს განახორციელოს "საქართველოს ლატარიის კომპანიის " ლოტოს მოთამაშეების კვლევა" შემდგომში "სამუშაო". (CPV კოდი: 79310000)

1.1. **მეთოდი – თვისებრივი კვლევა**
- ⇨ კვლევის ტექნიკა – ფოკუსური ჯგუფი;
- ⇨ კვლევის არეალი – თბილისი;
- ⇨ შერჩევის ზომა – 2 ფოკუს ჯგუფი;
- ⇨ ჯგუფების კომპოზიცია - საქართველოს ლატარიის კომპანიის ლოტოს აქტიური და პასიური მოთამაშეები;
- ⇨ შერჩევის მეთოდი – მიზნობრივი შერჩევა;
- ⇨ ფოკუს ჯგუფის ხანგრძლივობა – 2 სთ;
- ⇨ ანგარიშის ფორმატი – ტოპლაინ ანგარიში;

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მისი მოშლისა და შეწყვეტის წესი

2.1 წინამდებარე „ხელშეკრულება" ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 15 ოქტომბრამდე.

2.2 წინამდებარე „ხელშეკრულება" ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე, რის შესახებაც ხუთი დღით ადრე წერილობით უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

2.3 „შემსრულებელი" ვალდებულია წინამდებარე „ხელშეკრულების" 1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება დაიწყოს 2013 წლის 18 სექტემბერს და მიაწოდოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩანაწერი არაუგვიანეს 23 სექტემბრისა და გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი.

3. სამუშაოს ღირებულება და გადახდის პირობები

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 2 156 (ორი ათას ას ორმოცდატექვსმეტი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდა მოხდება 1.1. პუნქტით განხორციელებული სამუშაოების შესრულების შესაბამისი მიღება-ჩაბარების გაფორმების და ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

3.3 მხარეთა შორის ანგარიშსწორება იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.4 დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის" – უფროსი მარკეტინგის ოფიცერი – სულხან ლაცაბიძე. დამკვეთს უფლება აქვს ნებისმიერ დროს განახორციელოს ფოკუს ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1 „შემსრულებელი" ვალდებულია:

4.1.1 ჩაატაროს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები კეთილსინდისიერად, კვალიფიციურად და დათქმულ ვადებში;

4.1.2 „დამკვეთის" მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მას ანგარიშები პროექტის მიმდინარეობის შესახებ;

4.1.3 დაიცვას მომსახურების გაწევის პროცესში „დამკვეთისაგან" მიღებული ნებისმიერი ინფორმაციისა და კვლევის შედეგების კონფიდენციალურობა და არ დაუშვას ამგვარი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებისათვის „დამკვეთის" წერილობითი ნებართვის გარეშე;

4.1.4 უზრუნველყოს, რომ „ხელშეკრულების" 1.1. და პუნქტში აღწერილი პროექტის მიზნები სრულად იყოს მიღწეული;

4.1.5 პირადად შეასრულოს წინამდებარე „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული მომსახურება. „შემსრულებელს" არა აქვს უფლება გადასცეს მისი უფლებებისა ან/და მოვალეობების რაიმე ნაწილი რომელიმე მესამე მხარეს „დამკვეთის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

4.2 „შემსრულებელი" უფლებამოსილია:

4.2.1 მოითხოვოს და მიიღოს „დამკვეთისაგან" ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია წინამდებარე „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული მომსახურების მაღალპროფესიონალურ დონეზე გასაწევად;

4.2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პიროებების დარღვევის შემთხვევაში დააყენოს საკითხი „ხელშეკრულების" შეწყვეტის თაობაზე.

4.2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 3.2 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში "დამკვეთს" უფლება აქვს გამოიყენოს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.3 „დამკვეთი" ვალდებულია:

4.3.1 მიაწოდოს „შემსრულებელს" „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელი ინფორმაცია;

4.3.2 გამოყოს პროექტის კოორდინატორი, რომელსაც ექნება უშუალო საორგანიზაციო ხასიათის ურთიერთობა „შემსრულებლის" წარმომადგენლებთან;

4.3.3 წინამდებარე „ხელშეკრულების" 3.2 და 3.3 მუხლების დებულებების შესაბამისად გადაიხადოს 3.1 მუხლში განსაზღვრული ანაზღაურება.

4.4 „დამკვეთი" უფლებამოსილია:

4.4.1 ნებისმიერ დროს მოითხოვოს და მიიღოს „შემსრულებლისაგან" ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ;

4.4.2 პროექტის მიმდინარეობით ან მისი შედეგებით უკმაყოფილების შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ აცნობოს „შემსრულებელს"; მოითხოვოს ნაკლოვანებების დაუყოვნებელი აღმოფხვრა ან წინააღმდეგ შემთხვევაში დააყენოს საკითხი „ხელშეკრულების" შეწყვეტის თაობაზე.

5. ფორს-მაჟორი

5.1. „დამკვეთი" და „შემსრულებელი" თავისუფლდებიან პასუხისმგებლობებისგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალით. დაუძლეველ ძალად ჩაითვლება შემდეგი გარემოებები: ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა, საომარი მოქმედებები, ბლოკადა, ამასთან ხელშეკრულებით დადგენილი მოვალეობის შესრულების ვადა გადაიწევს იმ პერიოდით, რა პერიოდითაც გაგრძელდება აღნიშნული დაუძლეველი ძალა.

6. სადავო საკითხების განხილვა

6.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით.

6.2. თუ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, დავა განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს.

7. დამატებითი პირობები

7.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, ცვლილება ან დამატება შესრულებული უნდა იყოს წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

7.2 ყველაფერ დანარჩენში, რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება.

7.3 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისათვის.

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

დამკვეთი:
შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"

საიდენტიფიკაციო კოდი: 204568208
იურიდიული მის.: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 34
ფიზიკური მის.: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 34

ბანკი: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: - LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE28LB0113121375356003

(დღე, თვე, წელი)

ლევან ჩიკვაიძე
გენერალური დირექტორი

შემსრულებელი:
შპს ეისითი
საიდენტიფიკაციო კოდი: 204441684
იურიდიული მის.: ამაღლების ქ. 7, თბილისი 0105, საქართველო
ფიზიკური მის.: საქართველო, თბილისი 0194; საირმის გორა. 51.
ტელ/ფაქსი.: (+99532) 2 422 322 (9)
ვებ გვერდი: www.act-gr.ge
ელ. ფოსტა: contact@act.ge
ბანკი: სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE55BG0000000122737800

(დღე, თვე, წელი)

თინათინ რუსაძე
აღმასრულებელი დირექტორი